სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის 16 სართულიანი შენობის სადარბაზოს სარემონტო-სარეაბილიტაციო, თელავის რეგიონული არქივის შენობის სარდაფის სარემონტო-სარეაბილიტაციო და ეზოში მდგარი საინჟინრო აგრეგატების შემოღობვის, გადახურვისა და ბეტონის ჯებირის მოწყობის საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა კონკურსის საშუალებით კომისიის

სხდომის ოქმი № 01

ქ. თბილისი „ 05 " „05 " 2015 წ.

საკონკურსო კომისიის წევრები:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე _ ს. ლონდარიძე

თ. იაშვილი გ. ასკურავა ე.ხარაიშვილი დ.ლიტკინი ი.ლომიძე (არ ესწრებოდა) რ.ბანძელაძე

საკონკურსო აპარატის კომისიის წევრები: ნ.დემეტრაძე გ.შაშვიაშვილი

დღის წესრიგი:

სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის 16 სართულიანი შენობის სადარბაზოს სარემონტო-სარეაბილიტაციო, თელავის რეგიონული არქივის შენობის სარდაფის სარემონტო-სარეაბილიტაციო და ეზოში მდგარი საინჟინრო აგრეგატების შემოღობვის, გადახურვისა და ბეტონის ჯებირის მოწყობის საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვის საკონკურსო განცხადების (თანდართული დოკუმენტებით) განხილვა და საკონკურსო პირობების დამტკიცება.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრის ე.ხარაიშვილი ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ კომისიის წევრებს გადაეცათ საკონკურსო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული საკონკურსო დოკუმენტაცია და პირობები.

აზრი გამოთქვეს:

საკონკურსო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკონკურსო პირობები მისაღებია.

დაადგინეს:

1. „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის 10^2 მუხლის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის" შესაბამისად, საკონკურსო კომისიამ დაამტკიცა წარმოდგენილი საკონკურსო პირობები.

2. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის" მე-5 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალური მოთხოვნის და კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადების წარდგენა თანდართული დოკუმენტებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომელიც გამოქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

3. საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალური მოთხოვნა და საკონკურსო პირობები დანართის სახით თან დაერთოს საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმს.

სხდომის თავმჯდომარე - ს. ლონდარიძე

სხდომის მდივანი - გ.შაშვიაშვილი